სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	**ეროვნული უსაფრთხოება, დემოგრაფიული პოლიტიკა და მიგრაციები** National Security, Demographic Policy and migrations
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	**პროგრამის პირველი ნაწილის დასრულების შემდეგ:** სოციალური მეცნიერებების მაგისტრი Master of Social Sciences **პროგრამის მეორე ნაწილის დასრულების შემდეგ:** კვლევის მაგისტრი სოციალურ მეცნიერებებში Master of Research in Social Sciences
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	**საგანმანათლებლო პროგრამა შედგება ორი ნაწილისაგან:** 60+60 კრედიტი (ECTS): **პირველი ნაწილი:** კრედიტების მოცულობა – 60 კრედიტი (ECTS) მათ შორის: **სავალდებულო სასწავლო კურსები** – 40 კრედიტი; **არჩევითი სასწავლო კურსები** – 20 კრედიტი; **სწავლის ხანგრძლივობა:** არანაკლებ ორი სემესტრისა. **მეორე ნაწილი:** კრედიტების მოცულობა – 60 კრედიტი (ECTS). მათ შორის: **სავალდებულო სასწავლო კურსები** – 25 კრედიტი; **არჩევითი სასწავლო კურსები** - 5 კრედიტი; **საკვალიფიკაციო ნაშრომი** - 30 კრედიტი. **სწავლის ხანგრძლივობა:** არანაკლებ ორი სემესტრისა.
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ კოორდინატორი	**ვაჟა ლორთქიფანიძე** – პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი (დემოგრაფიაში), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	**მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის პირველ ნაწილზე (60-კრედიტიანი)** ჩარიცხვის უფლება აქვს ბაკალავრის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და ქვემოთ ჩამოთვლილი გამოცდების და გასაუბრების საფუძველზე: • წერითი გამოცდა სპეციალობაში (40%) - მინიმალური ზღვარი 51 ქულა (100 ქულიდან); • გასაუბრება სპეციალობაში (20 %) - მინიმალური ზღვარი 51 ქულა (100 ქულიდან); • გასაუბრება უცხოურ ენაში (ინგლისური ენა B2) (40 %) - მინიმალური ზღვარი 51 ქულა (100 ქულიდან).

	მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის მეორე ნაწილზე (60-კრედიტიანი) ჩარიცხვის უფლება აქვს სოციალური მეცნიერებების მაგისტრის ხარისხის მქონე პირს (პროგრამის „ეროვნული უსაფრთხოება: დემოგრაფიული პოლიტიკა, მიგრაციები“ პირველი ნაწილის დასრულებით). ამ ნაწილზე დამატებითი პირობები განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული დებულებით საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	**მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის – „ეროვნული უსაფრთხოება, დემოგრაფიული პოლიტიკა და მიგრაციები“ (პირველი ნაწილი) – მიზანია** ეროვნული უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი კომპონენტების – დემოგრაფიის, დემოგრაფიული პოლიტიკისა და მიგრაციების შესახებ მრავალმხრივი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, დემოგრაფიული აზრის განვითარების ისტორიის შესწავლა და გააზრება. დემოგრაფიის, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბებისა და განვითარების გზის ცოდნა. დემოგრაფიული კატეგორიების, ცნებების, კანონების ცოდნა და პრაქტიკაში გამოყენების უნარი. – მოსახლეობის დემოგრაფიული განვითარების თავისებურებების განსაზღვრა დინამიკაში, როგორც მსოფლიო, ასევე რეგიონული და ცალკეული ქვეყნების ჭრილში; – მიგრაციული პროცესების სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, დემოგრაფიული და ეროვნული უსაფრთხობის ასპექტების გამოვლენა და ანალიზი; – დემოგრაფიული პოლიტიკისა და მიგრაციული პოლიტიკის ქვეყნის ცხოვრებაში გასატარებლად, სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებთან ურთიერთკავშირის განსაზღვრა; **პროგრამის მეორე ნაწილის მიზანია:** – ეროვნული უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი კომპონენტების – დემოგრაფიის, დემოგრაფიული პოლიტიკისა და მიგრაციების შესახებ მრავალმხრივი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების, სამეცნიერო კვლევისა და შემოქმედებითი მუშაობის უნარის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტებისა და მკვლევრების მომზადება;

	– ეროვნული უსაფრთხოების შემადგენელი კომპონენტების – დემოგრაფიული მეცნიერების ძირითადი თეორიების, დებულებების, ეროვნული უსაფრთხოების ზოგადი კონცეფციების და თეორიების სისტემური ანალიზი და მათზე დაყრდნობით სოციოლოგიური კვლევების ჩატარება. მიღებული შედეგების საფუძველზე შერჩეული კვლევით პრობლემატიკის შესწავლა და ნაშრომის მომზადება; – მიღებული ცოდნით აკადემიურ და სამეცნიერო სფეროებში საკუთარი წვლილის შეტანა და ცოდნის გაცვლა-გავრცელება სამეცნიერო წრეებსა და საზოგადოების სხვა დაინტერესებულ ნაწილში.
სწავლის შედეგები	**პროგრამის პირველი ნაწილის** დამთავრების შემდეგ, კურსდამთავრებული: ***ცოდნა და გაცნობიერება*** – სიღრმისეულად განმარტავს მსოფლიოში მიმდინარე მიგრაციულ პროცესებს, მათ გამომწვევ მიზეზებსა და შედეგებს; – განსაზღვრავს დემოგრაფიული პოლიტიკის ამოცანებს, პარადიგმებსა და სხვა პრობლემებს, რომლებიც შესაძლოა გავლენას ახდენენ ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებაზე; **უნარი** – დემოგრაფიული პარამეტრების მიხედვით ქმნის მოსახლეობის დემოგრაფიული განვითარების მოდელებს და ახდენს მათი იმპლიმენტაციისათვის საჭირო კომპლექსური მონაცემების ანალიზს; **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** – დამოუკიდებლად და კრიტიკულად ამუშავებს დემოგრაფიულ მაჩვენებლებს, ადგენს დემოგრაფიული პროცესების ინტენსივობას. მსჯელობს საქართველოში მცხოვრები მოსახლეობის განვითარების, ისტორიულ, გეოგრაფიულ და სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებზე; – უნივერსიტეტში მიღებული კომპეტენციის საფუძველზე შეაქვს საკუთარი წვლილი დარგის განვითარებაში, როგორც პროფესიული, ასევე სამოქალაქო აქტივობით; **პროგრამის მეორე ნაწილის** დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებული: ***ცოდნა და გაცნობიერება***

	– სიღრმისეულად და სისტემურად განმარტავს დემოგრაფიულ თეორიებსა და კონცეფციებს; დემოგრაფიული პოლიტიკის ამოცანებს, პარადიგმებსა და სხვა პრობლემებს, რომლებიც შესაძლოა გავლენას ახდენენ ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებაზე; **უნარი** – იყენებს დემოგრაფიულ თეორიებს ეროვნული უსაფრთხოების ზოგადი კონცეფციების სხვადასხვა ასპექტებს თანამედროვე დემოგრაფიულ პრობლემებთან მიმართებაში; **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** – პროფესიული ეთიკისა და აკადემიური, მეცნიერული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, სხვადასხვა ქვეყნების მიერ გატარებული დემოგრაფიული პოლიტიკის, საერთაშორისო ორგანიზაციების გამოცდილებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, დამოუკიდებლად წერს სამაგისტრო ნაშრომს; – ავლენს მაღალ მოქალაქეობრივ პოზიციას, როგორც დამოუკიდებელი, ისე გუნდური კვლევის პროცესში. აკადემიური და მეცნიერული ეთიკის ფარგლებში მონაწილეობას ღებულობს დარგობრივ პოლემიკაში, იცავს საკუთარ და გუნდის პოზიციას, პატივს სცემს სხვის მოსაზრებებს.
სწავლება-სწავლის მეთოდები	• ვერბალური, ახსნაგანმარტებითი მეთოდი; • ლიტერატურასა და სხვა წყაროებზე მუშაობის მეთოდი; • საველე კვლევისა და დაკვირვების მეთოდი; • შედარებითი ანალიზის მეთოდი; • სისტემური მიდგომის მეთოდი; • გუნდური მუშაობა და დისკუსია; • SWOT ანალიზი;
შეფასების სისტემა	**მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაში (პირველი ნაწილი)** სტუდენტის მიერ სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს: ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას; ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას; გ) სემესტრის დასკვნით შეფასებას.

	შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან **(100 ქულა)** განესაზღვრება ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. **შეფასების სისტემა უშვებს:** ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას: • **ფრიადი** – შეფასების 91-100 ქულა; • **ძალიან კარგი** – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; • **კარგი** – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; • **დამაკმაყოფილებელი** – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; • **საკმარისი** – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას: • **(FX) ვერ ჩაბარა** – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; • **(F) ჩაიჭრა** – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს,რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში, დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულების რაოდენობა.

	დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F – 0 ქულა. შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენს შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული კომპონენტისთვის. დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50% (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით). **მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის (მეორე ნაწილი) ფარგლებში:** სტუდენტი პირველ სემესტრში ეუფლება კვლევითი კომპეტენციის ჩამაღრმავებელ და ინტერდისციპლინურ სასწავლო კურსებს (იხ. სასწავლო კურსების შეფასების სქემა, პროგრამის პირველი ნაწილის შეფასების სისტემის რუბრიკაში), რის საფუძველზეც დამასრულებელ სემესტრში გეგმავს და ამზადებს კვლევით კომპონენტს – სამაგისტრო ნაშრომს, რომლის მომზადებისა და დაცვის წესი დამტკიცებულია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად. სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით, 100-ქულიანი სისტემით. სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და მაგისტრანტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება წინასწარ დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში (არანაკლებ 51 ქულა).

	მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში **FX** (ვერ ჩააბარა) შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო **F** (ჩაიჭრა) შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას. **კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა.** **სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:** **ა) აქტუალობა – 5 ქულა** (ფასდება თემის აქტუალობა და სიახლე). **ბ) კვლევის მეთოდოლოგია – 20 ქულა** (ფასდება მიზნებისა და ამოცანების ადეკვატურობა, საკვლევი კითხვის/ჰიპოთეზის გამართულობა, დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის მიმართებების დადგენის სისწორე (საჭიროების შემთხვევაში), გამართული და კვლევის მიზანთან მისადაგებული კვლევის დიზაინი, ემპირიული მონაცემების ანალიზის სრულყოფილად წარმოდგენა). **გ) ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული კომპონენტი – 20 ქულა** (ფასდება რელევანტური, თანამედროვე და მრავალფეროვანი ლიტერატურის, მათ შორის უცხოურენოვანი წყაროების დამუშავების სრულყოფილება, თეორიული მასალის კრიტიკული ანალიზი). **დ) ანალიზისა და არგუმენტაციის უნარი – 30 ქულა** (ფასდება ავტორის მსჯელობის თანმიმდევრულობა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენისა და ადეკვატური დასკვნების გამოტანის უნარი, დასკვნების კავშირი ძირითად ტექსტთან და მათი ლოგიკურობა). **ე) ნაშრომის ფორმალური და ენობრივ-სტილისტური მხარე – 10 ქულა**

	(ფასდება წარმოდგენილი ნაშრომის ენობრივი გამართულობა, აკადემიური სტილი, წყაროების მითითების სისრულე და კორექტულობა, რუკების, ცხრილების, გრაფიკების შესაბამისობა და შესრულების ხარისხი, ნაშრომის გაფორმების მოცემულ სტანდარტთან შესაბამისობა, APA/ტურაბიანის სტილის დაცვა). **ვ) ნაშრომის ვიზუალური მხარე, მომხსენებლის საპრეზენტაციო და საკომუნიკაციო უნარები - 15 ქულა** (ფასდება ნაშრომის შინაარსისა და შედეგების დემონსტრირების ვიზუალური (ტექნიკური და ესთეტიკური) მხარე, თვალსაჩინო მასალის არსებობა, მისი ადეკვატურობა და ხარისხი, პრეზენტაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, მაგ: PowerPoint, დიგიტალური რუკები, ცხრილები, გრაფიკები და სხვ.); მაგისტრანტის პასუხები კითხვებსა და შენიშვნებზე).
დასაქმების სფეროები	**მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის (პირველი ნაწილი) კურსდამთავრებულს შესაძლებლობა აქვს დასაქმდეს:** სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებში, სამინისტროებში (იძულებით გადაადგილებულთა, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, მეცნიერების, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა, საქსტატი), საქართველოს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის აპარატში, მთავრობის ადმინისტრაციის აპარატში. **მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის (მეორე ნაწილი) კურსდამთავრებულს შესაძლებლობა აქვს დამატებით დასაქმდეს:** სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებაში და ბიზნეს სტრუქტურებში; არასამთავრობო და კერძო სექტორში მკვლევარ-ანალიტიკოსებად.
სწავლის გაგრძელების პერსპექტივა	მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის **(ნაწილი I)** კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ამავე დარგის მაგისტრატურის პროგრამის II ნაწილზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	– საქართველოს მოქალაქის სწავლას სრულად აფინანსებს სახელმწიფო; – სახელმწიფოს მიერ სხვა პირის სწავლის დაფინანსების წესსა და პირობებს ადგენს საქართველოს მთავრობა.

პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, საზოგადოებრივი გეოგრაფიის და ფაკულტეტის სხვადასხვა მიმართულების, აკადემიური და ასევე მოწვეული პერსონალი. **პროგრამის მატერიალურ-ტექნიკურ მუშაობას უზრუნველყოფს:** ● თსუ-ს კომპიუტერული ბაზები; ● თსუ-ს და ფაკულტეტის რესურს–ცენტრები; ● სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა (თსუ-ს III კორპუსი); ● ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები (ცენტრალური საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, რომელიც მდებარეობს უნივერსიტეტის ქუჩა №11-ში; შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზი რომელიც მდებარეობს ი. ჭავჭავაძის გამზირი №1-ში, I კორპუსი); ● თსუ-ს ელექტრონული სწავლების პორტალები; ● თსუ-ს სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს შეუზღუდავი და ულიმიტო წვდომა აქვთ ისეთ ელექტრონულ ბაზებსა და ჟურნალებზე, როგორებიცაა: EBSCO Publishing, Cambridge University Journals, JStor, Scopus და სხვა. ● სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; ● ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა და სხვა.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამას ფინანსურად უზრუნველყოფს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ).
აკადემიური კეთილსინდისიერება	აკადემიურ კეთილსინდისიერებას დიდი ყურადღება ექცევა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში. ● სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს მხოლოდ მის მიერ მომზადებული დავალება, ნაშრომი, რომელშიც აკადემიური სტილის დაცვით მითითებული იქნება, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის იდეა და/ან სიტყვები;

	• სტუდენტმა არ უნდა გამოიყენოს ნაშრომი და/ან ნაშრომის ნაწილი, რომელიც სხვა სასწავლო კურსისთვის მოამზადა; ასევე არ უნდა მოახდინოს მონაცემთა ან სხვა ინფორმაციის გაყალბება, და არ უნდა გადაიწეროს ნაშრომი. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე ზემოხსენებულ ქმედებას ექნება ადგილი, სტუდენტს დაეკისრება ეთიკის კოდექსით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის გამო, რომლებიც ჭეშმარიტი აკადემიური განათლების განუყოფელი ნაწილი და უნივერსიტეტის ფუნდამენტური ღირებულებაა. სამაგისტრო ნაშრომი მოწმდება პლაგიატზე ელექტრონული პროგრამა „Turnitin"-ის გამოყენებით. ამ მიზნით სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე მაგისტრანტი დასრულებული ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას, პლაგიატზე შესამოწმებლად, ატვირთავს სპეციალურ ბმულზე, რომელიც მიბმულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების პორტალზე.
დამატებითი ინფორმაცია	მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა ამ ეტაპზე მიიღებს 5 სტუდენტს. მოცემული პროგრამით გათვალისწინებული სტანდარტები შეესაბამება მსოფლიოს სტანდარტებს. პროგრამა პირველი და ერთადერთია საქართველოში, მაგრამ გააჩნია ანალოგები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა განთავსებულია და ხელმისაწვდომია თსუ-ს ბიბლიოთეკებში. **ანალოგები:** 1. კალიფორნიის უნივერსიტეტი, ბერკლი, მაგისტრატურის პროგრამა დემოგრაფიაში; 2. ფლორიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მაგისტრატურის პროგრამა დემოგრაფიაში; 3. პენსილვანიის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 4. სტოკჰოლმის უნივერსიტეტი (შვედეთი) 5. ავსტრალიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის

	ინსტიტუტი - 6. მონრეალის უნივერსიტეტი (კანადა), დემოგრაფიის დეპარტამენტი - 7. საუთჰემპტონის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი),

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

მიმართულება: საზოგადოებრივი გეოგრაფია

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ეროვნული უსაფრთხოება: დემოგრაფიული პოლიტიკა, მიგრაციები.
სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

კრედიტების რაოდენობა: 60+60 ECTS

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: ვაჟა ლორთქიფანიძე, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი.

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: 22.06.2026 44/2026

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი: 2026 -2027 წლის შემოდგომის სემესტრი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

პირველი ნაწილი

სასწავლო კურსების / მოდულების ტიპი: სავალდებულო 40 კრედიტი (ECTS)												
№	კოდი	სასწავლო კურსის სახელწოდება	კრედიტი (ECTS)	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა					სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი /ლექტორები
				საკონტაქტო			დამოუკიდებელი	სულ		შემოდგომა	გაზაფხული	
				ლექცია	სემინარი	სგამოცდო						
1		დემოგრაფია 1	5	30	15	4	76	125	წინაპირობის გარეშე	Y		ასოც. პროფ. ა. სახვაძე
2		მსოფლიო მოსახლეობის დემოგრაფიული განვითარების ტენდენციები	5	30	15	4	76	125	წინაპირობის გარეშე	Y		პროფ. ვ. ლორთქიფანიძე

3		ეროვნული უსაფრთხოება და ასიმეტრიული საფრთხეები	5	15	30	6	74	125	წინაპირობის გარეშე	Y		მოწვეული ლექტორი ვ. მაისაია
4		რეგიონალიზმის პოლიტიკა და გეოპოლიტიკური უსაფრთხოება	5	30	15	4	76	125	წინაპირობის გარეშე		Y	მოწვეული ლექტორი რ. თევზაძე
5		დემოგრაფია 2	5	30	15	4	76	125	დემოგრაფია 1		Y	ასოც. პროფ. ა. სახვაძე
6		დემოგრაფიული სტატისტიკა	5	15	30	4	76	125	დემოგრაფია 1		Y	ასოც. პროფ. ა. სახვაძე
7		გლობალური დემოგრაფიული პროცესები და ეროვნული უსაფრთხოება	5	30	15	4	76	125	დემოგრაფია 1		Y	ასოც. პროფ. გ. მელაძე
8		დემოგრაფიული პოლიტიკა და ეროვნული უსაფრთხოება	5	30	15	4	76	125	დემოგრაფია 1		Y	პროფ. ვ. ლორთქიფანიძე
არჩევითი სასწავლო კურსები/მოდულები - 20 კრედიტი (ECTS)												
1		საქართველოს მოსახლეობა	5	30	15	4	76	125	წინაპირობის გარეშე	Y		პროფ. ვ. ლორთქიფანიძე
2		დარგობრივი ინგლისური ენა 1	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე	Y		ენების ცენტრის პედაგოგი თ. იაშვილი
3		მსოფლიო მოსახლეობის გეოგრაფია	5	15	15	6	89	125	წინაპირობის გარეშე	Y		ასოც. პროფ. გ. კვინიკაძე

4		მსოფლიო მოსახლეობის დემოგრაფიული კონცეფციები	5	15	30	4	76	125	წინაპირობის გარეშე	Y		ასოც. პროფ. ა. სახვაძე
5		კავკასიის მოსახლეობა	5	30	15	4	76	125	წინაპირობის გარეშე		Y	პროფ. ვ. ლორთქიფანიძე
6		დარგობრივი ინგლისური ენა 2	5	30	15	5	75	125	დარგობრივი ინგლისური ენა 1		Y	ენების ცენტრის პედაგოგი თ. იაშვილი
7		მდგრადი განვითარება და სოციალური პოლიტიკა	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე		Y	ასოც. პროფ. ჯ. ურუტაძე

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის მეორე ნაწილი

სასწავლო კურსების / მოდულების ტიპი: 55 სავალდებულო												
№	კოდი	სასწავლო კურსის სახელწოდება	კრედიტი (ECTS)	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა					სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი / ლექტორები
				საკონტაქტო			დამოუკიდებელი	სულ		შემოდგომა	გაზაფხული	
				ლექცია	სემინარი	სგამოცდო						
1		სოციალური კვლევის მეთოდები	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე	Y		ასოც. პროფ. თ. მატარაძე
2		გეოეკონომიკური უსაფრთხოება	5	15	30	6	74	125	წინაპირობის გარეშე	Y		მოწვეული ლექტორი ვ. მაისაია
3		დემოგრაფიული ანალიზი და კომპლექსური მოდელირება	5	15	30	4	76	125	წინაპირობის გარეშე	Y		ასოც. პროფ. ა. სახვაძე

4		სამაგისტრო ნაშრომის დიზაინი	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე	Y		ასოც. პროფ. ხ. მაისაშვილი; მოწვეული ლექტორი მ. დევიძე
5		პრაქტიკა	5	-	84	6	35	125	წინაპირობის გარეშე	Y		ასოც. პროფ. ა. სახვაძე
6		სამაგისტრო ნაშრომი	30	60			690	750	ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი		Y	პროგრამის აკადემიური პერსონალი და მოწვეული პერსონალი.
არჩევითი სასწავლო კურსები/მოდულები - 5 კრედიტი (ECTS)												
1		გეოპოლიტიკა და ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გეოგრაფია	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე	Y		პროფ. გ. გოგსაძე
2		მსოფლიოს ეკონომიკური გეოგრაფია	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე	Y		პროფ. თ. დოლბაია
3		მიგრაციული პროცესების გეოგრაფია	5	30	15	4	76	125	წინაპირობის გარეშე	Y		ასოც. პროფ. ი. იაშვილი

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა____ პროფესორი ვაჟა ლორთქიფანიძე _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა_____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი